


24 საათი

"24 საათის" ფიქციური ნომერი

***2424**

ამერიკელები ავღანეთის ციხეების რეფორმას მოითხოვან

A4



წვიმის ფანჯი

A6



ტორინოში ერთი გამარჯვება და სჭირდება

A7



24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე **www.24saati.ge**

ჩვენი პარტნიორები:

ბაიდენის "მარტივი მესიჯები"

დომინიკი ავალიანი

აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი თბილისს დღეს ეწვევა. გუშინ კი მან კიევში კიდევ ერთხელ დაადასტურა შეერთებული შტატების მყარი პოზიცია - ვაშინგტონი არ ცნობს რუსეთის გავლენის სფეროებს და აღიარებს ყველა ქვეყნის დამოუკიდებელი არჩევანის უფლებას. ბაიდენის მესიჯებს მოსკოვში გამოეხმაურნენ და ვაშინგტონს „რეგიონული კონტექსტის“ და „ისტორიული სპეციფიკის“ გათვალისწინებისკენ მოუწოდეს. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, აშშ გეგმავს, რომ რუსეთთან ურთიერთობა საქართველოსა და უკრაინის საკითხებში დათმობების გარეშე მოაგვაროს.

„ჩვენ არ ვცნობთ რამე გავლენის სფეროებს და არავის აქვს კარნახის უფლება თქვენთვის და სხვა სახელმწიფოებისთვის, თუ რომელ კავშირებში შეხვდით,“ - განაცხადა ჯოზეფ ბაიდენმა უკრაინის პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოსთან შეხვედრის შემდეგ.

ბაზრძალაბა A3 გვერდზე



ექსპერტთა არაერთგვაროვანი შეფასება

ვერიკო თევზაძე

ექსპერტების შეფასება მიხილთ სააკაშვილის 20 ივლისის გამოსვლის თაობაზე არაერთგვაროვანია.

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ცენტრის ექსპერტის, ევროპული კვლევის ცენტრის ხელმძღვანელ კახა გოგოლაშვილის შეფასებით, პრეზიდენტის გამოვლაში მოვისმინეთ ბევრი ისეთი რამ, რაც მანამდეც იყო ცნობილი. თუმცა, აღნიშნავს გოგოლაშვილი, სააკაშვილმა სიახლეებიც გაახმოვანა. კერძოდ, ექსპერტი დადებითად აფასებს პრეზიდენტის ინიციატივას სისხლის სამართლის კოდექსში გარკვეული ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომელიც მიზნად ისახავს მოსამართლეებზე ზეწოლის ფაქტების მკაცრად დასჯას.

კახა გოგოლაშვილი ასევე იწინააღმდეგებს, რომელიც საზოგადოებრივ მაუწყებელს ეხება. ადრინდელთან შეადრებით, ამჟამად მაუწყებლის თაობაზე პრეზი-

დენტისგან უფრო კონკრეტული წინადადებები მოვისმინეთ. საინტერესოა ინიციატივა, რომელიც ტელევიზიის მართვის პროცესში სამოქალაქო სექტორის ფართო მონაწილეობას გულისხმობს. ასევე საინტერესოა იყო პრეზიდენტის შეთავაზება ოპოზიციის იმ ნაწილისადმი, რომლებმაც უარი თქვეს დეპუტატების მანდატებზე, რომ დაბრუნდნენ საკანონმდებლო ორგანოში, - განუცხადა 24 საათს კახა გოგოლაშვილმა. იგი მთლიანობაში აფასებს გუშინდელ დებატებს და აღნიშნავს, რომ მწვავე, მაგრამ კონსტრუქციული იყო საპარლამენტო ოპოზიციის გამოსვლა. ოპოზიცია ხელისუფლებისადმი საკმაოდ კრიტიკული იყო და, მიუხედავად ამისა, მათი გამოსვლა პოლიტიკური კულტურის ნორმებს არ გასცდენია, - დასძინა გოგოლაშვილმა. როგორც 24 საათთან საუბრისას ქართველმა ექსპერტმა აღნიშნა, კარგი იქნებოდა, თუ მომავალში მსგავს დებატებში არასაპარლამენტო ოპოზიციაც ჩართვება. გოგოლაშვილის ვარაუდით, ეს სავესებით შესაძლებელია:

ბაზრძალაბა A2 გვერდზე

ოპოზიციის სპარლამენტო დებატებს უნოდავს

ნათია მსხილაძე

არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები საკანონმდებლო ორგანოში საქართველოს პრეზიდენტ მიხილთ სააკაშვილის გამოსვლას თბილისში ჯოზეფ ბაიდენის ვიზიტისთვის გამიზნული პიარ-კამპანიის ნაწილად აფასებენ.

დემოკრატიულ რეფორმებზე ნათქვამი სააკაშვილის არც ერთი სიტყვა საქმედ არ ქცეულა. სწორედ შეუსრულებელი დაპირებებია როგორც ჩვენი ხალხის, ისე საერთაშორისო საზოგადოების უნდობლობის საფუძველი სააკაშვილის ხელისუფლების მიმართ. სწორედ ამის გამო იდგა და დღესაც დგას ათასობით ქართველი ქუჩაში, - ასე შეაფასა ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატიის თავმჯდომარემ ირაკლი ალასანიამ პრეზიდენტის საპარლამენტო გამოსვლა.

ახალი მემარჯვენეების ლიდერ დავით გამყრელიძის თქმით, მას სურვილი ჰქონდა პრეზიდენტისგან სახელმწიფოებრივი კრიზისის დაძლევის შესახებ ბევრად უფრო კონკრეტული და საგნობრივი შემოთავაზებები მოესმინა. მიმაჩნია, რომ მედიასთან მიმართებით სერიოზული საერთოდ არაფერი თქმულა. სასამართლო რეფორმის შესახებ დიდი ხანია მიდის საუბარი, მიხილთ სააკაშვილმა ქართულ საზოგადოებას ამ რეფორმით გააცნო თავი, მაგრამ დღეს ერთ-ერთი მთავარი პრობლემა და ქართული სახელმწიფოს თავის ტკივილი ისევ და ისევ სასამართლოა. ჩემი აზრით, ძალიან სწრაფად შეიძლება გადაწყდეს ეს საკითხი, ამას მხოლოდ ხელისუფლების ნება სჭირდება, - განაცხადა დავით გამყრელიძემ გუშინდელ პრესკონფერენციაზე.

ბაზრძალაბა A3 გვერდზე

ნადირობა ადამიანის უფლებათა დამცველებზე

ნატალია ესტემიროვას მკვლელობის გამო მოსკოვში მასშტაბური აქციები გაიმართება

რუსული უფლებადამცველი ცენტრი მემორიალი "ჩენეთი მუშაობას დროებით წყვეტს. ბი-ბი-სის" ცნობით, ეს გადაწყვეტილება ცენტრის თანამშრომლის, უფლებადამცველი ნატალია ესტემიროვას გატაცებისა და მკვლელობის ფაქტს უკავშირდება. მემორიალის "ალმასრულელი კომიტეტის წევრის ალექსანდრე ჩერკასოვის განცხადებით, ორგანიზაციას არ სურს საფრთხის ქვეშ დააყენოს თავისი თანამშრომლების სიცოცხლე. რა დროით იქნება შეწყვეტილი ცენტრის მუშაობა ჩენეთში, ჯერჯერობით უცნობია.



სასწრაფო და ეფექტურ პასუხს მოითხოვს, - განაცხადა კომისარმა.

როგორც ჩანს, სერიოზული ნადირობაა დაწყებული ყველა იმ ადამიანზე, რომელიც ცდილობს საჯარო განხილვას ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები ჩენეთში, ნატალია ესტემიროვა მუდმივად იცავდა ჩენეთის ორივე ომის დროს დაზარალებულებს. დადგარო, რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებამ სერიოზული ღონისძიებები გაატაროს - აღკვეთოს მკვლელობები და დასაჯოს დამნაშავეები, - ეს განცხადება საერთაშორისო ორგანიზაცია Human Rights Watch-ს ეკუთვნის.

ნატალია ესტემიროვა 15 ივლისს, დილით, უცნობმა პირებმა გროზნოს ცენტრიდან გაიტაცეს. იმავე საღამოს, გატაცებულის ცხედარი ინგუშეთში, ნაზრანის რაიონში აღმოაჩინეს.

ნატალია ესტემიროვას კოლეგები მომხდარში ჩენეთის პრეზიდენტ რამზან კადიროვს ადანაშაულებენ. როგორც "მემორიალის" თავმჯდომარე ოლეგ ორლოვი აცხადებს, რამზან კადიროვი ნატალია ესტემიროვას პირად მტრად მიიჩნევდა.

კადიროვი ნატალიას ემუქრებოდა, შეურაცხყოფას აყენებდა, რადგან ეს ქალბატონი უკან არასდროს იხევდა და კადიროვისთვის არასასურველ საქმიანობას ეწეოდა. ჩვენ არ ვიცით, უშუალოდ რამზან კადიროვმა ვასცა მკვლელობის ბრძანება თუ მისმა გარემოცვამ საკუთარი ინიციატივით, პრეზიდენტის ის რომ ესამოწმებინათ, გადაწყვიტა, ბოლო მოეღოთ ადამიანისთვის, რომელიც თავის კრიტიკით კადიროვს პრობლემებს უქმნიდა, - განაცხადა ცენტრის "მემორიალის" თავმჯდომარე ოლეგ ორლოვმა.

მომხდართან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა ჩენეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა და განაცხადა, რომ ნატალია ესტემიროვას მკვლელობის საქმის გამოძიება პირად კონტროლზე აიყვანა.

მკვლელობა იმ ძალების მოფიქრებული და ჩადენილია, რომლებიც ვერ ეგუებიან იმ აზრს, რომ ჩენეთის რესპუბლიკაში საბრძოლო მოქმედებები დამთავრებულია და აქ მშვიდობა სუფევს. ჩვენ ამ საქმის გამოძიებას ბოლომდე მი-

ვიყვანთ არა მარტო ოფიციალური მეთოდებით, არამედ არაოფიციალური საშუალებებითაც, იმ საშუალებებით, რომლებიც ჩენურ მეთოდებს გულისხმობს. ძალ-ღონეს არ დავზოგავთ და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ეს საზარელი დანაშაული გაიხსნას და მკვლელები არაადამიანურად დაისაჯონ, რადგან მათ ხელი აწიეს არა მარტო უსუსური ქალბატონის, არამედ მთელი ერის წინააღმდეგ, - განაცხადა ჩენეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა.

ჩენეთის პრეზიდენტის რამზან კადიროვის ადვოკატი ორგანიზაციის "მემორიალის" თავმჯდომარე ოლეგ ორლოვის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს.

ადვოკატი მიიჩნევს, რომ რამზან კადიროვის ღირსება, პატივი და საქმიანი რეპუტაცია შეილახა მას შემდეგ, რაც ოლეგ ორლოვმა იგი ნატალია ესტემიროვას გატაცებასა და მკვლელობაში საჯაროდ დაადანაშაულა.

კადიროვის ადვოკატის ანდრეი კრასნენკოვის თქმით, სარჩელი უკვე სასამართლოშია შეტანილი. მისივე თქმით, მას შს სამინისტროს მოსკოვის სახელმწიფო სამმართველოში შეიტანა განცხადება ჩენეთის პრეზიდენტის მიმართ გამოთქმული ცილისწამების ფაქტზე.

"დარწმუნებული ვარ, რომ ორივე საქმეს მოვიგებ, იმიტომ, რომ ორლოვის გამონათქვამებს აშკარად გამოკვეთილი ცილისწამებულური ხასიათი აქვს," - აცხადებს კრასნენკოვი.

გარდაცვლილის კოლეგები კი, ყოველ ოთხშაბათს, მოსკოვის ცენტრში, ფართომასშტაბიან საპროტესტო აქციებს გამართავენ და აცხადებენ, რომ აქციები მანამდე გაგრძელდება, სანამ ნატალია ესტემიროვას მკვლელებს არ დააკავებენ და არ დასაჯიან.

ნატალია ესტემიროვას მკვლელობა ნიშნავს იმას, რომ ჩენეთში ომი არ დამთავრებულა, ისევე - როგორც მთელ სამხრეთ კავკასიაში.

ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციები, რომლებსაც ჩვენ გავუწვევთ ორგანიზებას სწორედ ამ დამთავრებული ომებისა და ადამიანის უფლებების შელახვის ფაქტების წინააღმდეგაც იქნება მიმართული, - აცხადებენ გარდაცვლილის კოლეგები. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ნატალია ესტემიროვას მკვლელობა მის პროფესიულ საქმიანობას უკავშირდება. ამ ვერსიას უკვე დაეთანხმა რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურა. რუსეთის გენერალური პროკურორი, ალექსანდრე ბასტრიკინი გამოძიებებისა და კრიმინალისტიკის თანხლებით, ინგუშეთში, ნაზრანის რაიონში, სადაც ნატალია ესტემიროვას ცხედარი იპოვეს, უკვე იმყოფებოდა.

საქმე ისაა, რომ როგორც რუსული პრესა წერს, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმა ალექსანდრე ბასტრიკინი საკუთარ კაბინეტში დაიბარა და მემორიალის გროზნოს განყოფილების თანამშრომლის მკვლელობის საქმის სასწრაფოდ გახსნა დაავალა. ცნობილი ადამიანის უფლებადამცველის მკვლელობა რომ მის პროფესიულ საქმიანობასთან არის კავშირში, ამას არც რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში უარყოფენ.

ნატალია ესტემიროვას გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა დამცველების სამხრეთ კავკასიურ ქსელში გაერთიანებულმა ორგანიზაციებმა თბილისში რუსეთის საელჩოს შენობასთან მდუმარე აქცია გაიმართეს. აქციაში ადამიანის უფლებათა დამცველების სამხრეთ კავკასიური ქსელის წევრმა 30 ორგანიზაციამ მიიღო მონაწილეობა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის "ხელმძღვანელის უჩა ნანუაშვილის განცხადებით, აქციის მონაწილეებს სურთ ამ გზით გამოხატონ საკუთარი ადამიანის უფლებათა დამცველის, ნატალია ესტემიროვას მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით.

უცხოეთი

ამერიკელები ავღანეთის ციხეების რეფორმას მოითხოვენ

გავლენიანი ამერიკული გაზეთი „ნიუ იორკ თაიმსი“ იუნჯება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ ავღანეთს სასამართლო და პენიტენციური სისტემის გადახედვისკენ მოუწოდო. გამოცემა ეყრდნობა ამერიკელი სამხედროების მოხსენებას, რომელშიც გამოთქმულია შემოთავაზება ავღანეთის ციხეებში თალიბების მიერ წარმოებული საავიტაციო საქმიანობის გამო. მოხსენებაში, რომელიც ოფიციალურად ჯერ არ გამოქვეყნებულა, ასევე მოცემულია რეკომენდაცია ბაგრამში არსებული სამხედრო ბაზის მუშაობის პრინციპების შეცვლის შესახებ.

„ბი-ბი-სი“ ჯერ კიდევ ივნისში იუნჯებოდა ამ ბაზაზე განთავსებული ციხის პატიმრების უფლებების უხეში დარღვევის შესახებ. ჟურნალისტები ესაუბრნენ 27 ყოფილ პატიმარს, რომლებმაც განაცხადეს, რომ ბაგრამში ყოფნისას მათ სცემდნენ, არ აძლევდნენ დაძინების საშუალებას და ძალებით აპინებდნენ.

მოხსენება მომზადებულია საზღვაო ქვეითების გენერალ-მაიორ დუგლას სტოუნის მიერ, რომელიც ერაყის სასჯელაღსრულების



სისტემის რეფორმის ერთ-ერთ ავტორად მიიჩნევა. „ნიუ-იორკ ტაიმსის“ მოხსენებაში არსებულ რეკომენდაციებს შორის მთავარი მოთხოვნაა ექსტრემისტებისა და ბოვიკების გამოყოფა იმ პირების-

გან, რომლებიც სასჯელს უფრო ნაკლებ სერიოზული დანაშაულისთვის იხდიან. შეიძლება ამერიკის

გან, რომლებიც სასჯელს უფრო ნაკლებ სერიოზული დანაშაულისთვის იხდიან. შეიძლება ამერიკის

შეერთებული შტატები ავღანეთს ექსტრემისტების მოსათავსებლად სპეციალური ციხის აშენებაში დაეხმაროს.

მოხსენებაში ასევე არის რეკომენდაცია, რომ პატიმრებს გამოუმუშაონ გარკვეული ჩვევები, რაც მათ გათავისუფლების შემდეგ გამოადგებათ. დაგეგმილია პატიმრებისთვის გაკვეთილების ჩატარებაც, რომლის დროსაც მათ ზომიერი ისლამის პრინციპებს განუმარტავენ.

მოხსენება გულისხმობს აგრეთვე ციხის მცველების, პროკურატურის თანამშრომლებისა და მოსამართლეების მომზადების ორგანიზაციას.

ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების წარმომადგენლებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ ავღანეთი მათი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა. ვაშინგტონის შემოთავაზების მთავარი საფუძველია მოძრაობა თალიბების საქმიანობის აქტივიზაცია, რომელიც ხელისუფლებას 2002 წელს დაწყებული სამხედრო ოპერაციის საშუალებით ჩამოაშორეს.

„ბი-ბი-სის“ მიხედვით მოამზადა ივა შილაკაძე

ვაკის საცურაო აუზი და ფიტნეს კლუბი
გთავაზობთ
საზაფხულო აქციას
1 ივლისიდან



**მხოლოდ ერთი თვე
სამაჯური ღირებულების გარეშე!
ONLY ONE MONTH
BRASLET WITHOUT DEPOSIT**



ტელ: 25 25 75
ი. ჭავჭავაძის გამზირი №49ა

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
დავით ტატიშვილის
სამედიცინო ცენტრი აცხადებს
კონკურსს რადიოლოგიის
შემდეგ ვაკანსიაზე:

რენტგენოლოგი - 1,
რენტგენომამოგრაფიის სპეციალისტი - 1.

მოთხოვნები:
1. სახელმწიფო სერთიფიკატი შესაბამის სამედიცინო საქმიანობაში;
2. პროფესიული მუშაობის გამოცდილება, სამუშაო სტაჟი 5 წ.
3. უცხო ენების ცოდნა (ინგლისური);
4. კომპიუტერული პროგრამების ცოდნა. საკონკურსო განაცხადის შემოტანის ვადა 2009 წლის 1 სექტემბრამდე.
მისამართი: ქ. თბილისი, თენგიზ აბულაძის ქ. N 20
ტელ: 913 119, 913 242

დავით ტატიშვილის
სამედიცინო ცენტრის
მანუალური თერაპიის
და სამკურნალო
მასაჟის სპეციალისტი
ირაკლი ძიძიგური

გთავაზობთ:
ყველა ასაკის პაციენტთათვის - დისკოზის, ოსტეოქონდროზის, სქოლიოზის, ართროზის მკურნალობას, ოპერაციის და ტრავმის შემდგომ რეაბილიტაციას თანამედროვე აპარატურისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (899) 222 912;

სიასლე! დასვენება 50 ლარად!

გაზაღების სასტუმრო კომპლექსში
საუკეთესო ფასად, ღამისთევის გარეშე,
მთელი ღღის განმავლობაში შეგიძლიათ
დაისვენოთ, გაართოთ და მიიღოთ შემდეგი
სახის მომსახურება:

- ერთჯერადი კვება (მსუბუქი ლანჩი)
- პლაჟი (ქოლგა, შეზლონგი)
- ღია აუზი (ქოლგა, შეზლონგი)
- წყლის ველოსიპედები, იალქნიანი და გასაბერი ნავეები
- სპორტული მოედნები (პლაჟის ფრენბურთი, ჩოგბურთის კორტი)
- საბავშვო ატრაქციონები
- უფასო ავტოსადგომი
- 6 წლამდე ბავშვებისთვის უფასოდ
- ბავშვები 6-დან 12 წლამდე 50% ფასდაკლებით.

ეს ყველაფერი მხოლოდ 50 ლარად!



ღამათვაბითი ინფორმაციისთვის ღარაკით: 44 99 77 (შიღა: 30-01 ან 30-02)

წვიმის ფანჯი

მესიო პარკერმა და კომპანიამ წლის კონცერტი ჩაატარეს

ნა შაკაა

ერთი წამით წარმოიდგინეთ, რა საშინელებაა ბათუმის წვიმა - მონოტონური, ნესტიანი და დაუსრულებელი, რომელსაც ერთიანად შეუძლია ნანატრი შეგებულების ჩაშლა და განწყობის დიდი ხნით გაფუჭება. თუმცა ბათუმში მაინც იყო დღე, როდესაც ცამ ზაფხულის წვიმა მოწყალეობასავით გამოგვაფრქვია, რათა წყლით გაჯერებულ და დამორჩილებულ მუსიკას ჩვენს ყურამდე, გონებამდე და გულბამდე უკეთესად მოეღწია.

„ყველზე დიდი პატარა ფანჯი ორკესტრი დედამიწაზე“ - ასეთია მესიო პარკერის, უკვე ლეგენდად და ფანჯის ერთ-ერთ მამად შერაცხული საქსოფონისტის ამჟამინდელი ბენდის შესახებ გამოთქმული შეფასება. ბათუმის შავი ზღვის ჯაზფესტივალის ჰედლაინერი სწორედ აღნიშნული ბენდი და მისი ლიდერი მისტერ პარკერი იყო. თავად კონცერტი კი იმ შემთხვევას წარმოადგენდა, როდესაც მსმენელის დიდმა ნაწილმა პრაქტიკულად ყველა კომპოზიცია ზეპირად იცის და ტექსტს შემსრულებელთან ერთად იმეორებს. ასე იყო შარშნაც, როდესაც შავი ზღვის ჯაზფესტივალის მთავარი ვარსკვლავი ბრწყინვალე ბასისტი მარკუს მილერი გახლდათ. გარდა იმისა, რომ მაშინ ბათუმში მიღერმა თავისი ბოლო, არაჩვეულებრივი ალბომი ჩამოიტანა, მოგვცა საშუალება საკუთარი ყურით მოგვესმინა ის კომპოზიციები, რომლებსაც ოდესაღაც თვით მაილს დევისთან ერთად წერდა. მესიო პარკერი კი დროდადრო სცენაზე თავის ძველ მეგობარს, ჯეიმს ბრაუნს უხმობდა ხოლმე...



მესიო პარკერის ბენდი

კონცერტი კარგად ჩატარდეს? რამდენიმე კომპონენტი: ცხადია თავად მუსიკა, გარემო და მსმენელი. როგორც წესი საქართველოდან წასული უცხოელი შემსრულებლები ქვეყანას ქართველ მსმენელზე შეყვარებულები ტოვებენ და ეს არ არის მხოლოდ მასპინძელი ერის საამებლად გამოთქმული შეფასება. მართალია არიან ისეთებიც, ვისაც შეუძლია მესიო პარკერი კონცერტზე მივიდეს და სცენისკენ ზურგშექცეულმა ვახშამი მიირთვას, თუმცა საბედნიეროდ ასეთები სცენისგან მოშორებით გროვდებიან ხოლმე და შესაბამისად ვერც სტუმრების თვალსაწი-

ერში ხვდებიან, ხოლო ის ვინც კონცერტზე მხოლოდ და მხოლოდ მუსიკის მოსასმენად იყო მისული, მესიო და კომპანიას ალბათ დიდხანს ემახსოვრება. როგორც ზემოთ გითხარით, კონცერტს კონკრეტულად მესიო პარკერის ბენდი მსმენელი ესწრებოდა. თუმცა ის რაც სცენიდან მოდიოდა, რადიკალურად განსხვავებული მუსიკის მოყვარულსაც ვერ აუვლიდა გვერდს - სცენაზე მუსიკით შეპყრობილი ადამიანები იდგნენ და თითოეული აკორდით ცდილობდნენ ჩვენს მოჯადოებას. ფანჯი კი სწორედ ის მუსიკაა, რომელსაც საამისოდ ყველაზე უტყუარი

ხერხები გააჩნია. ალბათ სწორედ ამ ჯადოქრობის ბრალი იყო, როდესაც კოკისპირული წვიმა ისე დაინწყო და ისე გადაიღო, ერთ მსმენელსაც არ მოუცვლია ფეხი და აპარატურის დასველების გამო კულინების მხარეს შეყუჟულ მუსიკოსებს ბოლო ხმაზე ეხვეწებოდნენ **Make it Funky!!!** თუმცა ხვეწნა საჭიროც არ იყო, რადგან მესიო პარკერი მზად იყო მაშინვე სცენაზე დაბრუნებულიყო, მაგრამ როგორც გითხარით, აპარატურა უმოწყალოდ დასველდა. ხოლო როდესაც წვიმა შეწყდა და კონცერტი გაგრძელდა, ფანჯით გახურებული და ციდან მოვლენილი წყალობით გა-

რილებული მუსიკით შეპყრობილი მსმენელი კვლავ საკუთარი ნებით გახდა მუსიკის ჯადოქრების „მსხვერპლი“.

მესიო პარკერის ბენდი ბათუმში შემდეგი შემადგენლობით ჩამოვიდა: ბასზე ლეგენდარული Parliament-Funkadelic-ის ყოფილი წევრი როდნი „სკიტ“ კერტისი უკრავდა, ბრუნო სპეტიტი, უილ ბულუერი და ჯამალ ტომასი შესაბამისად გიტარის, კლავისისა და დრამის პარტიებს ასრულებდნენ, საყვირისას - ასევე ძალიან ცნობილი რონ ტული, ბექებში ოდესღაც ჯეიმს ბრაუნის ჯგუფის წევრი - მარტა ჰაი და ნეტა ჰოლი იყვნენ, ხოლო ტრომბონი თავად დენის როლინსს უპყრა ხელთ.


საქართველოში დენის როლინსი მესამედ ჩამოვიდა. 2002 წელს იგი თბილისის ჯაზ ფესტივალში საკუთარი ბენდით მონაწილეობდა, ხოლო ერთი წლის შემდეგ „აჭარა მიუზიკ ჰოლში“ გამართა კონცერტი. აქაურობისადმი მისი დამოკიდებულება თვალში საცემი იყო - მუდამ მომღიმარი როლინსი თავს თითქოს შინ გრძნობდა და საღამოს მთავარი გმირის მსგავსად აქტიური გახლდათ. რაც შეეხება კონცერტის არამუსიკალურ მხარეს, მესიო პარკერმა არაჩვეულებრივი შოუ შემოგვთავაზა - ზუსტად ისეთი, როგორც ალბათ ნიუ იორკის ჯაზკლუბებში შეიძლება ნახო.

„ისტერნ პრომოუშენის“ მიერ ორგანიზებული შავი ზღვის ჯაზფესტივალი გუშინ ამერიკული ბენდის **Naturally 7**-ის პერფორმანსით დასრულდა, რომელზეც შეიდი ვოკალისტიგან შემდგარმა ჯგუფმა ხმათა შეწყობის ვირტუოზული მაგალითები წარმოგვიდგინა.

ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები სამთავროს სამაროვანზე

ქართულ-ავსტრალიური პროექტი

გუშინ მცხეთის სამთავროს სამაროვანზე საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ავსტრალიის მელბურნის უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტის სამთავროს გათხრების (GAIA) შემაჯამებელი სამუშაოები გაიმართა. სამთავროს სამარხებში აღმოჩნდა ახ.წ. III-IV ს-ით დათარიღებული ბრინჯაოს, ვერცხლის და ოქროს სხვადასხვა ნივთები. ასევე სანელსაცხებლე მიწის მცირე ზომის ჭურჭლები, გემრის, სარდინის და სხვა ქვების მძივები.



სპედიციამ ალექსანდრე კალანდაძის ხელმძღვანელობით 23. ფართობი გათხარა (სულ სამთავროს 183. ფართობი უკავია) და 3000-მდე სხვადასხვა პერიოდის სამარხი გა-

მოაოვლინა. 1976-1986 და 2000-2002 წლებში მცხეთის ექსპედიციამ ანდრია აფაქიძის ხელმძღვანელობით სხვადასხვა

პერიოდის ნასახლარები და 1000-ზე მეტი სამარხი აღმოაჩინა.

სამთავრო მთელი კავკასიის რეგიონის სანიმუშო არქეოლოგიურ ძეგლს წარმოადგენს. მდიდარი სამარხული ინვენტარი მაღალი მხატვრული ოსტატობის ნიმუშებია. სამთავროზე ვხვდებით ჩვენი ისტორიის განვითარების სხვადასხვა ეტაპებს, რომლებიც წარმოდგენილია თანმიმდევრულად ანუ სტრატოგრაფიულად, რასაც სამთავროსა და შესაბამისად მისი თანადროული სხვა ძეგლების ქრონოლოგიის განსაზღვრისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

დღემდე დაახლოებით 4000 სამარხი არის შესწავლილი. გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა შუა ბრინჯაოს ხანიდან შუა საუკუნეებამდე თარიღდება. აღმოჩენილი ექსპონატები ეროვნულ მუზეუმსა და მცხეთის არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალში არის დაცული.

საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და მელბურნის უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტი არქეოლოგიური სამუშაოების გარდა ადრეული ექსპედიციების მასალების მონესრიგებასა და გამოვლენილი ექსპონატების მონაცემთა ბაზის შექმნას ითვალისწინებს.

ავსტრალიელმა მეცნიერებმა სამთავროს ძეგლის შესწავლა შარშან დაიწყეს. ამ დროისათვის გათ-

რილია 8 სამარხი, სადაც ანტიკური ეპოქისა და ადრეული შუა საუკუნეების უნიკალური ექსპონატები აღმოჩნდა. პროექტში არქეოლოგებთან ერთად მუშაობენ ქართველი და ავსტრალიელი გეოფიზიკოსები და ანთროპოლოგები. ასევე პროექტში აქტიურად არიან ჩართულნი ორივე ქვეყნის სტუდენტები.

დავით ლორთქიფანიძე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორი : „ძალიან მნიშვნელოვანია მელბურნის უნივერსიტეტთან გრძელვადიანი თანამშრომლობა. კვლევაში გამოყენებულია თანამედროვე გეოფიზიკური მეთოდები. ეს არის XXI საუკუნის არქეოლოგია და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდების მონაწილეობა.“

მიმდინარე წელს აღნიშნული პროექტის ეგიდით დასრულდა ნინა წლებში გამოვლენილი სატაძრო ნაგებობის გათხრა. გამოიკვეთა 100 მ. ფართობის მქონე დარბაზი, რომელიც კრამიტით იყო გადახურული. ტაძრის შუაში ალიზით ნაგები ნრიული მოყვანილობის კერა-სამსხვერპლო აღმოჩნდა. როგორც ჩანს ტაძარი ძვ. და ახ. საუკუნეების მიჯნაზე მოქმედებდა და ძლიერი ხანძრის შედეგად იქნა დაანგრილი.

კოკოშკოვა ავსტრიული პეკრება დაიწყო

ქართული კალათბურთის გულშემატივარს ცხელი ზაფხული ელის. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში წარმატებულად თამაშობს. ცოტა ხანში ასეთივე ტურნირში ჭაბუკები ჩაერთვებიან, ეროვნული ნაკრები კი აგვისტოში ჩაებმება საქმეში.

აგვისტოს მატჩებისთვის ჩვენი გუნდი ავსტრიაში ემზადდება. კოკოშკოვა თავისი შეგირდები ავსტრიის მყუდრო ქალაქ შტაინბურნში არასრული შემადგენლობით შეკრიბა. რამდენიმე ლეგიონერი ჯერ არ ჩასულა ავსტრიაში. ისინი ეროვნულ გუნდს თანდათან შეუერთდებიან. ნაკრების ერთი წევრი - მიხეილ ბერიშვილი კი უცხოურ შეკრებაზე წასვლას ვერ ახერხებს. ახლა ავსტრიაში ნაკრების შვიდი წევრია.

ავსტრიაშია საქართველოს ნაკრების მენეჯერი მერაბ რატიშვილიც, რომელთან ინტერ-

ვიუ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

- ვენაში წუხელ ჩავეფრინდით. იქიდან პროვინციულ, მყუდრო ქალაქ შტაინბურნში ჩამოვედით და, სავარაუდოდ, სალამოს პირველ ვარჯიშსაც გავემართავთ.

- მთავარი მწვრთნელი ჩამოვიდა?

- იგორ კოკოშკოვი შუადღისას ჩამოფრინდა და ახლა ვენიდან შტაინბურნში მოემგზავრება. როგორც დაგეგმილია, სალამოს კოკოშკოვი ვარჯიშს გაუძღვება.

- ჩვენი ნაკრების რამდენი მოთამაშეა ავსტრიაში და დანარჩენებს როდის ელით?

- ავსტრიაში თბილისიდან შვიდი კალათბურთელი ჩამოვიდა: გიორგი ცინცაძე, ვიქტორ სანიკიძე, მანუჩარ მარკოშვილი, გიორგი შერმაძინი, კოტე ტულუში, ლაშა გამყრელიძე და ანატოლი ბოისა. 25

ივლისის ჩამოდის ვლადიმერ ბოისა, 27-ში კი ის სამი მოთამაშე შემოგვიერთდება, რომლებიც ახლა ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე არიან - თორნიკე შენგელია, ნიკა მეტრეველი და ლევან შენგელია. ვიცით ასევე ტაირონ ელისის ჩამოსვლის ზუსტი თარიღი - ის 2 აგვისტოს აქ იქნება. რაც შეეხება ზაზა ფაჩულიას და ნიკოლოზ ცქიტიშვილს, ისინი მალე შეუერთდებიან ნაკრებს, თუმცა ზუსტი თარიღი არ არის ცნობილი.

- მიხეილ ბერიშვილზე რას ვვცხვით?

- ბერიშვილი ავსტრიაში ვერ ჩამოვა. მას ვიზას არ აძლევენ, რადგან ის ვიზა, რომელიც შარშან გავეუკეთეთ, ამონურა. მას ჰქონდა უფლება, შეგენის ზონის ქვეყნებში 90 დღე გაეტარებინა და რაკი გასული სეზონის ბოლოს ესპანეთში იყო სათამაშოდ წასული, ლიმიტი თითქმის ამონურული

აქვს. ერთი სიტყვით, ის ავსტრიაში ჩამოსვლას ვერ მოახერხებს.

საქართველოს ნაკრებს პირველი სპარინგ-მატჩი 31 ივლისს ექნება ჰოლანდიასთან. კოკოშკოვის გუნდი შტაინბურნიდან ქალაქ უტრეხტში გადაინაცვლებს და ორ დღეში ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს ჰოლანდიის ეროვნულ ნაკრებთან. 7 და 8 აგვისტოს ქართველებს ქალაქ ბადენში ავსტრიის ნაკრებთან მოუწევთ სპარინგ-მატჩები.

საქართველოს ნაკრები თბილისში 13 აგვისტოს დაბრუნდება და 15-ში უკვე პირველი ოფიციალური მატჩს გამართავს ლუქსემბურგთან. ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში ჩვენი მომდევნო მეტოქეები იქნებიან: ირლანდია (19 აგვისტო), სლოვაკეთი (22 აგვისტო), შვედეთი (26 აგვისტო).

დინამოში ხორვატი მცველი ვარჯიშობს

დინამოსთან ერთად გუნდის პირველი ვარჯიში გამართა 28 წლის ხორვატი ანტე იურევიჩი. ის აშკარად მარცხენა მცველია. ახალწვეულების დინამოში დარჩენის საკითხი, სავარაუდოდ, ერთ კვირაში გაირკვევა.

ანტე იურევიჩი: კარიერა ზადარში დაიწყო. ბოლო სეზონშიც იქ გამოვიდოდი. პირველ ვარჯიშშიც გამოჩნდა, რომ სერიოზულ გუნდში ვარ. დინამოს შესახებ, ცხადია, ბევრი მსმენია, განსაკუთრებით იმ პერიოდში, როდესაც გუნდს ივო შუშაკი წვრთნიდა.

ქართველი ჭაბუკები ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრნენ

საქართველოს 18 წლამდელთა ნაკრები 21 ივლისის ღამეს ბოსნიაში, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირზე გაემგზავრნენ. უკვე თვეზე მეტია, მიხეილ კობეშვიძის გუნდი ემზადება და ამხანაგური მატჩების გასამართავად ივლისის ბოლოს ისრაელშიც იყო.

ბოსნიაში თავს მოიყრის 21 ნაკრები, რომლებიც 4 ჯგუფში არიან განაწილებულნი. საქართველო C ჯგუფში მოხდა რუმინეთის, შოტლანდიის, ჰოლანდიისა და ჩერნოგორიის ნაკრებებთან. ისევე როგორც სხვა ასაკობრივ ჩემპიონატებში, აქაც ორი საუკეთესო გადაინაცვლებს A დივიზიონში.

ჩვენი ნაკრები ბოსნიაში ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა:

უკანა ხაზი: გივი ბაქრაძე (დინამო), ტარიელ თავართქილაძე (აკადემია), ბექა ჩიკვილაძე (პეიშე-გალეო, ესპანეთი). მერაბ ბოქლოშვილი (აკადემია).

ფორვარდები: დავით იოსელიანი (მაკაბი), აკაკი ლომოური (მართვე 2), ნოდარ თენიშვილი (აკადემია), დუდა სანაძე (ენერჯი), ბექა ჭიჭვიშვილი (მართვე 2).

ცენტრები: ლევან სულაბერიძე (მართვე 2), გოგა ჯავახიშვილი (აკადემია), აკაკი დვალისვილი (ენერჯი-ინვესტი).

მთავარი მწვრთნელი - მიხეილ კობეშვიძე
ასისტენტი მწვრთნელი - კახა შენგელია
ექიმი - ზურაბ ჯანიკაშვილი
საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების კალენდარი ევროპის ჩემპიონატზე:

- 23 ივლისი
- საქართველო - შოტლანდია
- 25 ივლისი
- საქართველო - ჰოლანდია
- 26 ივლისი
- რუმინეთი - საქართველო
- 27 ივლისი
- საქართველო - ჩერნოგორია

მანიშე "კიოლნს" შეუერთდა

პორტუგალიელი ნახევარმცველი მანიშე გუნდის ოფიციალურად ჩაირიცხა კიოლნსში და გულშემატივარებსაც წარუდგინეს.

მანიშე ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთი დიდი სახელია. გვეამაყება, რომ მისი გადმოხიზვა შეეძლო, - აღნიშნა კიოლნის პრეზიდენტმა ვოლფგანგ ოვერატმა, - მას შეუძლია თავისი კლასითა და გამოცდილებით გუნდს უდიდესი დახმარება გაუწიოს.

ნანი გოლებზე დაიგემა

პორტუგალიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრებისა და ინგლისის მანჩესტერ იუნაიტედის ნახევარმცველი ნანი დარწმუნებულია, რომ მომავალი სეზონიდან უფრო ხშირად მოხვდება საკუთარი კლუბის ძირითად შემადგენლობაში და გასულ სეზონთან შედარებით მეტ გოლს გაიტანს.

გამოითქვა ვარაუდი, რომ მიმდინარე ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის დროს ნანი ინგლისის ჩემპიონის რიგებს დატოვებდა და თავის ყოფილ გუნდს - ლისაბონის სპორტივს დაუბრუნდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. 22 წლის ნანი მანჩესტერელს აზიურ ტურნეში გაჰყვა და პირველ მატჩში, რომელიც იუნაიტედმა მალაიზიის ნაკრებთან გამართა, გოლით გამოიჩინა თავი.

ძალიან ვისიამოვნებ და იმედი მაქვს, რომ გოლებს მომავალშიც ვაგიტან. ვფიქრობ, მომავალი სეზონი განვილივთ ორზე უკეთესი იქნება. მანჩესტერში თავს ბედნიერად ვგრძნობ. ვატყობ, რომ მეტი გოლის გატანა შემიძლება. თუ საკუთარ თავზე უფრო მეტს ვიმუშავებ, ბევრად უკეთ ავთამაშდები, - განუცხადა ნანიმ Sky Sports-ს.

ტოჩინოშინს ერთი გამარჯვება და სჭირდება



ტოჩინოშინმა მეშვიდე პაექრობა მოიგო

სატენდერო განცხადება

<p>გაეროს განვითარების პროგრამის "ადრეული რეაბილიტაციისა და მკვრივ განვითარებაზე გადასვლის ხელშეწყობის" პროექტის ფარგლებში პატივი აქვს</p> <p>გამოაცხადოს ტენდერი</p> <p>Ref: FOSTER - EC Infrastructure Rehabilitation #00063905/11</p> <p>ქარელის მუნიციპალიტეტის სოფ. დიბის და ბრუხის, კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. სასირეთის წყალმომარაგების სისტემების სარეაბილიტაციო/სამშენებლო სამუშაოების შესრულებაზე</p> <p>წინადადებები წარმოადგინეთ დაბეჭდილი სახით დადგენილ კონკრეტულ (დღიანი და ასლი), არაუგვიანეს 2009 წლის 20 აგვისტოს 17:00 სთ-მდე მისამართზე:</p> <p>თბილისი, გაეროს სახლი, ერისთავის ქ. №9.</p> <p>წინა-სატენდერო საინფორმაციო შეხვედრა შედგება 2009 წლის 3 აგვისტოს 14:00 საათზე და საჭირო ინფორმაციის მიღება შესაძლებელი იქნება შემდეგ მისამართზე:</p> <p>გაეროს განვითარების პროგრამა UNDP ქ. გორი, სტალინის გამზირი №4; საკონტაქტო ტელეფონი 8(270) 7 95 70</p> <p>სრული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: www.undp.org.ge</p>	

ნაგოიაში მიმდინარე სუმოს სუპერტურნირზე წარმატებით ასპარეზობს 21 წლის ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი), რომელსაც ბაშოს ათი დღის შემდეგ შვიდი გამარჯვება აქვს და ტურნირის დადებითი ბალანსით დასამთავრებლად ერთი ბრძოლის მოგება სჭირდება.

ტოჩინოშინი დასავლეთის მესამე მაიგაშირას რანგში ასპარეზობს და თუ დარჩენილი ხუთი ბრძოლიდან ერთზე მეტს მოიგებს, რეიტინგში წინსვლის მანძილს ექნება. შესაძლოა, პირველ მაიგაშირობასაც კი გამოჰკრას ხელი. რაც შეეხება კოკაის, მან ახალგაზრდა თანამემამულეს მხარი ვერ აუბა - ასპარეზობის ათი დღის შემდეგ მხოლოდ ოთხი გამარჯვება აქვს, რაც იმის მაჟინე-ბელია, რომ თუ დარჩენილ ხუთ დღეში ცაგურიაში ორი ბრძოლა წააგო, რეიტინგში დაქვეითებას ვერ გადაურჩება.

გუნდის კოკაი დასავლეთის მე-ოთხმეტე მაიგაშირა ტასაუტა-კასთან იორიკირის ილეთით და-

მარცხდა. ტოჩინოშინმა კი დასავლეთის მეშვიდე მაიგაშირა მოკონაში უვატენაგეს ილეთით დასცა დოჰიოზე.

ათი დღის შემდეგ ბაშოს ორი ლიდერი ჰყავს. ჯერჯერობით ისევ დაუმარცხებლად იბრძვიან იოკო-ტუნა ჰაკუჰო და დასავლეთის ოქთე-კი კოტომუ. იოკოტუნა ასომორიუ კი თითქმის ჩამოშორდა იმპერატორის თასისთვის ბრძოლას - მას უკვე ორი მარცხი აქვს.

დღეს ბაშოს მეთერთმეტე დღეა. კოკაის მეტოქეა ალმოსავლეთის მეცამეტე მაიგაშირა ფუტენო, რომელსაც ათიდან მხოლოდ ოთხი ბრძოლა აქვს მოგებული. სერიოზული მეტოქე ეყოლება ტოჩინოშინს - მას ალმოსავლეთის მეათე მაიგაშირა მოტენერო შეხვდება. მართალია, მოტენერო რეიტინგით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ ივლისის ბაშოს ბრწყინვალედ ატარებს და უკვე გაინაღდა კიდევ დადებითი ბალანსი. მოტენეროს აქტივობა რვა მოგებაა.



მუდმივმოქმედი არბიტრაჟი, დავების განმხილველი ცენტრი" DDRC-ს სასამართლო

